საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1005-03
30/07/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2024 წლის 18 ივლისის N 971-03 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ

1. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024–2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 18 ივლისის N 971-03 ბრძანებით განსაზღვრული რეგისტრაციისთვის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა რეგისტრაციის ბაზაში, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომელიც სავალდებულოა ყველა ფაკულტეტისა და პროგრამისთვის, უნდა ატვირთონ დანართში მითითებული დოკუმენტები შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების დაცვით;

2. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024–2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 18 ივლისის N 971-03 ბრძანების თანახმად საგამოცდო და სააპელაციო პერიოდი განისაზღვროს 2 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით;

3. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ქართულენოვანი პროგრამების -
ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე) და
ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის ინგლისური ენის საგამოცდო თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 3 სექტემბერი;

4. ამ ბრძანების მესამე პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს B2 დონე;

5. აპლიკანტმა, რომელმაც განაცხადი შემოიტანა ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე) და ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი სავალდებულოა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა ან არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბაზაში ატვირთოს ოფიციალური საერთაშორისო აღიარების მქონე ენის სერტიფიკატი (Common European Framework of Reference (CEFR)-ის B2 ან უფრო მაღალი დონე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მითითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური.

6. ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე - ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე) და ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი მაგისტრანტობის კანდიდატი გამოეთიშება კონკურსს, იმ შემთხვევაში თუ ვერ გადალახავს ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვარს;

7. სამაგისტრო პროგრამაზე - „ბიზნესის ადმინისტრირება (მენჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე)“ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ქეისის განხილვა და მისი გადაწყვეტა) თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემებრი;

8. სამაგისტრო პროგრამაზე - „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ქეისის განხილვა და მისი გადაწყვეტა) თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემებრი, ხოლო ზეპირი გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 4 ,5, 6 სექტემბერი ;

9. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვან) სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის ინგლისური ენის საგამოცდო თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 4 ,5 და 6 სექტემბერი.

10. ინგლისურენოვან სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე - „ბიზნესის ადმინისტრირება“ რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ქეისის განხილვა და მისი გადაწყვეტა) თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემებრი.

11. აპლიკანტმა, რომელმაც განაცხადი შემოიტანა ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე -
„ბიზნესის ადმინისტრირება“ სავალდებულოა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა ან

არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბაზაში ატვირთოს ოფიციალური საერთაშორისო აღიარების მქონე ენის სერტიფიკატი (Common European Framework of Reference (CEFR)-ის B2 ან უფრო მაღალი დონე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მთითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური;

12. ამ ბრძანების მე-9 პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს B2 დონე.
13. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე - „ბიზნესის ადმინისტრირება“ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოეთიშება კონკურსს, იმ შემთხვევაში თუ ვერ გადალახავს ამ ბრძანების მე-12 პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვარს.

14. სამაგისტრო პროგრამაზე - „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ რეგისტრაცია გავლილ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის გასაუბრების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემბრიდან 6 სექტემბერის ჩათვლით.

15. სამაგისტრო პროგრამაზე - „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები“ რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შიდა საუნივერსიტეტო წერითი გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 3 სექტემბერი, ხოლო ზეპირი გამოცდის თარიღად 2024 წლის 9 სექტემბერი.

16. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შიდა საუნივერსიტეტო სპეციალობის წერითი გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 5 სექტემბერი;

17. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის ინგლისური ენის საგამოცდო თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 3 სექტემბერი;

18. ამ ბრძანების მე-17 პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს B2 დონე;

19. აპლიკანტმა, რომელმაც განაცხადი შემოიტანა სამაგისტრო პროგრამებზე: „პროგრამული ინჟინერია“ სავალდებულოა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა ან არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბაზაში ატვირთოს ოფიციალური საერთაშორისო აღიარების მქონე ენის სერტიფიკატი (Common European Framework of Reference (CEFR)-ის B2 ან უფრო მაღალი დონე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მითითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური.

20. ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე -
„პროგრამული ინჟინერია“ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოეთიშება კონკურსს, იმ შემთხვევაში თუ ვერ გადალახავს ამ ბრძანების მე-18 პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვარს;

21. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება“ სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის სპეციალობის საგამოცდო თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 6 სექტემბერი;

22. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება“ სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის ინგლისური ენის საგამოცდო თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 3 სექტემბერი;

23. ამ ბრძანების 22-ე პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს B2 დონე;

24. აპლიკანტმა, რომელმაც განაცხადი შემოიტანა სამაგისტრო პროგრამებზე: „თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება“ სავალდებულოა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა ან არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბაზაში ატვირთოს ოფიციალური საერთაშორისო აღიარების მქონე ენის სერტიფიკატი (Common European Framework of Reference (CEFR)-ის B2 ან უფრო მაღალი დონე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მითითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური.

25. ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე -
„თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება“ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოეთიშება კონკურსს, იმ შემთხვევაში თუ ვერ გადალახავს ამ ბრძანების 22-ე პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვარს;

26. სამაგისტრო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის ინგლისური ენის საგამოცდო თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 3 სექტემბერი;

27. ამ ბრძანების 26-ე პუნქტით განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს B1 დონე;

28. აპლიკანტმა, რომელმაც განაცხადი შემოიტანა სამაგისტრო პროგრამებზე: „განათლების ადმინისტრირება“ სავალდებულოა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა ან არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციის ბაზაში ატვირთოს ოფიციალური საერთაშორისო აღიარების მქონე ენის სერტიფიკატი (Common European Framework of Reference (CEFR)-ის B1 ან უფრო მაღალი დონე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მითითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური.

29. სამაგისტრო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, შიდასაუნივერსიტეტო (სპეციალობის) გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 4, 5, 6 სექტემბერი.

30. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე მისაღები გამოცდების პროცესი ჩატარდება ფიზიკურ ფორმატში.

31. დეტალური ინფორმაცია ინგლისური ენის გამოცდის, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების, დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ეტაპობრივად განთავსდეს არაუგვიანეს 2024 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

32. შიდა საუნივერსიტიტეტო გამოცდების შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

33. მაგისტრანტობის კანდიდატებმა საპრეტენზიო განაცხადები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე გადმოაგზავნონ შემდეგ ელ. მისამართზე bte@iliauni.edu.ge 2024 წლის 9 და 10 სექტემბერს 18:00 საათის ჩათვლით.

34. ზეპირი გამოცდების სააპელაციო განრიგი ვებ-გვერდზე განთავსდეს 2024 წლის 11 სექტემბერს.

35. განმეორებითი გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 12 სექტემბერი.
36. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეიტინგული სიები აპელაციის შედეგების გათვალისწინებით (ჩასარიცხ კანდიდატთა ძირითადი და სათადარიგო სიები) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს 2024 წლის 13 სექტემბერს.

37. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს მისამართზე თბილისი, ჩოლოყაშვილის 3/5 E კორპუსი 207 ოთახი შემდეგი გრაფიკით:

ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან - 2024 წლის 14 და 16

სექტემბერი

ბ) სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან - 2024 წლის 17

სექტემბერი

38. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

39. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

40. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს

ნიკოლოზ ყაველაშვილი



დეკანი